

მიღებულია აკადემიის 2016 წლის  
30 იანვრის საერთო კრებაზე

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ) -

”საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია”

წ ე ს დ ე ბ ა

ქ. თბილისი

2016 წელი

## **ზოგადი დებულებები**

**მუხლი 1.** ააიპ "საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია" (შემდეგ – აკადემია), არის დამოუკიდებელი სამეცნიერო საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელშიც შედიან პედაგოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და განათლების სფეროს სხვა მეცნიერებათა დარგების წარმომადგენლები, ცნობილი პრაქტიკოსი - პედაგოგები, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოღვაწეები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ეროვნული განათლების განვითარებაში;

**მუხლი 2.** აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, წინამდებარე წესდებითა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. აკადემია ხელმძღვანელობს თვითმმართველობის, დემოკრატიისა და საჯაროობის პრინციპებით;

**მუხლი 3.** აკადემია არის იურიდიულ პირი, მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0144, წინანდლის ქ. №9 (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ-ს შენობაში); ელ-ფოსტა: [ganatlebisakademia@gmail.com](mailto:ganatlebisakademia@gmail.com)

**მუხლი 4.** აკადემიას უფლება აქვს იქონიოს ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საქართველოს საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და სხვა რეკვიზიტები.

## **მუხლი 5. აკადემიის მიზნები**

**5.1.** აკადემიის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს პედაგოგიკური ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას, განათლების დარგის მეცნიერებათა არსებული რესურსების მაქსიმალურ ამოქმედებას, ეროვნული განათლების სრულყოფა-განვითარებას და საგანმათლებლო სფეროში მიღწეული წარმატებებისა და ინოვაციების რეალიზაციას მომავალი თაობის ზნეობრივი, ინტელექტუალური აღზრდისა და ფიზიკური განვითარებისათვის;

**5.2.** მისი მიზანია ხელი შეუწყოს პედაგოგიკის, პედაგოგიურ ფსიქოლოგიასა და განათლების მეცნიერებათა სხვა დარგების ინტენსიურ კვლევებს, მათ ორგანულ კავშირს განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებთან;

**5.3.** აკადემია მიზნად ისახავს მოახდინოს მეცნიერთა ძალების კონსოლიდაცია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების დანერგვისათვის, სამეცნიერო-კვლევითი გეგმების შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს განათლების შინაარსობრივი სრულყოფის საკითხებს, მოწინავე გამოცდილების მეცნიერულ ანალიზს, ამ გამოცდილების

ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან გონივრულ შერწყმას, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას როგორც სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში, ისე აკადემიის მართვაში, დარგის მეცნიერმუშაკთა ინტელექტუალური, სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვას.

## **მუხლი 6. აკადემიის ამოცანები:**

- 6.1.** საქართველოს განათლების სისტემის მეცნიერულ-პრაქტიკული განვითარების პოლიტიკის, სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის კვლევების გაუმჯობესება.
- 6.2.** მემორანდუმის გაფორმება განათლების სამინისტროსთან, კავშირების გამყარება განათლების ხელმძღვანელ ორგანოებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და მათი პრაქტიკული უზრუნველყოფა;
- 6.3.** განათლების დარგის პრობლემებზე სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების, საჯარო ლექციების, მეცნიერული დისკუტების (მათ შორის საერთაშორისო) მოწყობა;
- 6.4.** კავშირების დამყარება და თანამშრომლობა საქართველოსა და საზღვარგარეთის ანალოგიურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, განათლების დარგის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მეცნიერებთან;
- 6.5.** აკადემიის უფლებამოსილების ფარგლებში საგამომცემლო და საგამოფენო საქმიანობის ორგანიზება, ქვეყნის წარსულის და თანამედროვე მოწინავე გამოცდილების და მეცნიერული მიღწევების დანერგვა და პროპაგანდა;
- 6.6.** განათლების დარგში მეცნიერული კვლევების კოორდინაციის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით პედაგოგიკის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის დარგში საინფორმაციო ბანკის შექმნა და მისი პერიოდული განახლება;
- 6.7.** განათლებისა და მეცნიერული საქმიანობის ეკონომიკური ხელშეწყობის მიზნით კანონით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კომერციული საქმიანობის წარმართვა;
- 6.8.** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და სხვა დარგობრივ აკადემიებთან თანამშრომლობა;
- 6.9.** მასმედიის საშუალებებით საზოგადოებრიობის პერიოდული ინფორმირება აკადემიის საქმიანობის შესახებ.

## **მუხლი 7. აკადემიაში წევრთა მიღება და მათი უფლება-მოვალეობანი:**

7.1. აკადემია შედგება: ინდივიდუალური, კოლექტიური, საპატიო და უცხოელი წევრებისაგან. გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლებით სარგებლობენ ინდივიდუალური და კოლექტიური წევრები ;

7.2. აკადემიის კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს სახელმწიფო ან კერძო სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება ან მისი სტრუქტურა (კათედრა, ფაკულტეტი, სექტორი, განყოფილება, ცენტრი და სხვ.), სხვა ორგანიზაციები და საწარმოები. აკადემიის კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს, აგრეთვე, უცხოური ქვეყნის ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულია განათლების სფეროში მოღვაწეობით და აქვს აკადემიასთან სამეცნიერო, პრაქტიკული, საგანმანათლებლო და ფინანსური ურთიერთობის სურვილი. კოლექტიური წევრის წარმომადგენელი კენჭისყრაში მონაწილეობს ერთი ხმის უფლებით;

7.3. აკადემიის წევრად მიიღებიან საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეები წერილობითი განცხადების და სათანადო რეკომენდაციების საფუძველზე, წინამდებარე წესდების პირველი მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

7.4. აკადემიაში ახალი წევრების მიღების პირობებს განიხილავს და განსაზღვრავს აკადემიის პრეზიდიუმი. აკადემიის წევრის არჩევა ხდება საერთო კრებაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; უცხოელ, კოლექტიურ და საპატიო წევრთა მიღების საკითხს წყვეტს პრეზიდიუმი საერთო კრების შემდგომი ინფორმირებით;

7.5. უცხოელი წევრის მიღების საკითხს, მისი პირადი განცხადების და დასაბუთებული წარდგინების შემდეგ, ასევე განიხილავს და წყვეტს აკადემიის პრეზიდიუმი;

7.6. საპატიო წევრად გადადიან აკადემიის უკვე არჩეული წევრები, მათი პირადი განცხადებით. ასაკის, აკადემიაში გაწეული ღვაწლისა და დამსახურებისათვის ისინი თავისუფლდებიან საწევრო გადასახადისაგან და წლიური ანგარიშის წარმოდგენისაგან. მათთვის კენჭისყრებში მონაწილეობა ნებაყოფილობითია;

7.7. აკადემიის წევრებს უფლება აქვთ პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდნენ აკადემიის შემადგენლობიდან. საკითხს წყვეტს აკადემიის პრეზიდიუმი საერთო კრების შემდგომი ინფორმირებით;

7.8. აკადემიის წევრები უფლებამოსილნი არიან:

7.8.1. მონაწილეობა მიიღონ აკადემიის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში;

7.8.2. აკადემიის ხელმძღვანელ ორგანოებში აირჩიონ სასურველი წევრები და თავად იყვნენ არჩეულნი;

**7.8.3.** შეიტანონ წინადადებები აკადემიის ხელმძღვანელ ორგანოებში, მოითხოვონ მათი საჯარო განხილვა;

**7.8.4.** მიიღონ მხარდაჭერა აკადემიის ხელმძღვანელობისაგან თავიანთი საავტორო თუ სხვა სამართლებრივი უფლებების დასაცავად.

**7.8.5.** აკადემიის წევრები ვალდებული არიან:

**7.8.5.1.** მონაწილეობა მიიღონ აკადემიის საქმიანობაში მისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად;

**7.8.5.2.** იხელმძღვანელონ აკადემიის წესდებით, შეასრულონ აკადემიის საერთო კრების, პრეზიდიუმისა და ხელმძღვანელთა დავალებები;

**7.8.5.3.** ყოველი მომდევნო წლის 1 თებერვლამდე აკადემიაში წარადგინონ მათ მიერ წინა წელს გაწეული სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობის ანგარიში;

**7.8.5.4.** საჭიროების შემთხვევაში წარსდგინონ თავიანთი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ანგარიშით აკადემიის პრეზიდიუმისა და საერთო კრების წინაშე;

**7.9.** აკადემიის წევრები იხდიან დადგენილ ყოველთვიურ საწევროს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს პრეზიდიუმი და ამტკიცებს საერთო კრება.

**7.10.** თუ აკადემიის წევრი ერთი წლის განმავლობაში არ მონაწილეობს აკადემიის ღონისძიებებში, დროულად არ წარმოადგენს წლიურ ანგარიშს და არ იხდის საწევრო გადასახადს, იგი ითვლება აკადემიიდან ავტომატურად გასულად,

**7.11.** წესდების მე-7.10 მუხლში გათვალისწინებული მოვალეობების სისტემატური შეუსრულებლობის გარდა აკადემიის საერთო კრება უფლებამოსილია წევრი გარიცხოს აკადემიიდან, აგრეთვე ეთიკური ნორმების დარღვევისა და აკადემიის სახელის დისკრედიტაციისათვის. გარიცხულ წევრს უფლება აქვს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

## **მუხლი 8. აკადემიის მმართველი ორგანო - საერთო კრება**

**8.1.** აკადემიის საერთო კრება არის მთავარი მმართველი ორგანო;

**8.2.** კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აკადემიის ინდივიდუალურ წევრთა ნახევარზე მეტი. კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული ფორმითაც;

**8.3.** საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა ყოველი კალენდარული წლის ბოლოს - გაწეული მუშაობის შეჯამებისა და სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით; კრება ასევე ტარდება საჭიროების მიხედვით - პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

**8.4.** საერთო კრების უფლებამოსილება:

- 8.4.1. პრეზიდიუმის წარდგენით აკადემიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- 8.4.2. მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების, მიმართულებების, და ჯგუფების შექმნა, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ აკადემიის წევრები;
- 8.4.3. აკადემიის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა;
- 8.4.4. აკადემიის პრეზიდიუმის მიერ გაწეული სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა;
- 8.4.5. აკადემიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
- 8.5. საერთო კრებას ხელმძღვანელობს აკადემიის პრეზიდენტი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;
- 8.6. აკადემიის საერთო კრება ღია კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევს პრეზიდენტს, თანაპრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს, აკადემიკოს-მდივანს, ხოლო უვადოდ ირჩევს საპატიო პრეზიდენტს; ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის შემადგენლობებს;
- 8.7. საერთო კრება ამტკიცებს აკადემიის ბიუჯეტს და იღებს გადაწყვეტილებებს აკადემიის ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- 8.8. საერთო კრების მიმდინარეობა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და აკადემიკოს-მდივანი.

## **მუხლი 9. აკადემიის ხელმძღვანელობა და სტრუქტურა:**

- 9.1. პრეზიდენტი
- 9.2. საპატიო პრეზიდენტი
- 9.3. თანაპრეზიდენტი
- 9.4. ვიცე-პრეზიდენტები
- 9.5. აკადემიკოს-მდივანი
- 9.6. პრეზიდიუმი
- 9.7. სარევიზიო კომისია
- 9.8. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების და პრეზიდიუმის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგებლობებს განსაზღვრავს პრეზიდიუმი და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის საერთო კრებას, რომელიც ამტკიცებს მას ღია კენჭისყრით, 4 წლის ვადით;
- 9.9. პრეზიდიუმის სხდომა ტარდება საჭიროების მიხედვით, არანაკლებ თვეში ერთჯერ; გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;

**9.10.** საჭიროებისამებრ, პრეზიდიუმი 4 წლის ვადით ქმნის აკადემიის მიმართულებებს და ტერიტორიულ ჯგუფებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

### **მუხლი 10. აკადემიის პრეზიდიუმის ფუნქციები:**

**10.1.** აკადემიის საერთო კრების მოწვევა, სამუშაო გეგმის, საკვლევო თემებისა და სამეცნიერო თემატიკის დამტკიცება;

**10.2.** სამეცნიერო-საკვლევო გეგმების კოორდინაცია, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების და სხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარება;

**10.3.** მიმართულებათა და ტერიტორიული ჯგუფების ხელმძღვანელთა ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშების პერიოდული მოსმენა;

**10.4.** არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და აკადემიის უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება სამეწარმეო ორგანიზაციის შექმნის შესახებ;

**10.5.** აკადემიაში საგამომცემლო საქმიანობის წარმოება;

**10.6.** პრეზიდენტის წარდგინებით, აკადემიის სტრუქტურის დამტკიცება-კორექტირება;

**10.7.** აკადემიის მიერ საკუთარი ჯილდოების შემოღების შესახებ პროექტების და შესაბამისი დებულების შემუშავება და აკადემიის საერთო კრების წინაშე დასამტკიცებლად მათი წარდგენა, დაჯილდოებასთან დაკავშირებული საქმიანობა;

**10.8.** აკადემიის პრეზიდიუმი ანგარიშვალდებულია აკადემიის საერთო კრების წინაშე;

**10.9.** იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციაში მუშაობს აკადემიის 6 და მეტი წევრი, პრეზიდიუმი საჭიროებისამებრ ქმნის აკადემიის ადგილობრივ ჯგუფს, განსაზღვრავს მის ფუნქციონალურ დატვირთვას და ამტკიცებს ჯგუფის ხელმძღვანელს.

### **მუხლი 11. აკადემიის პრეზიდენტი**

აკადემიის პრეზიდენტი წარმართავს აკადემიის საქმიანობას და ხელმძღვანელობს აკადემიის პრეზიდიუმს. ერთპიროვნულად წარმოადგენს აკადემიას მესამე პირებთან ურთიერთობისას, ხელს აწერს დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც დადგენილია კანონმდებლობით ააიპ-ის ხელმძღვანელისათვის; ხელმძღვანელობს აკადემიის საერთო კრებას; საერთო კრებას წარუდგენს წინადადებებს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხების

განხილვის თაობაზე. ხელმძღვანელობს აკადემიის საფინანსო საქმიანობას, არის არსებული საფინანსო სახსრების განმკარგველი.

## **მუხლი 12. საპატიო პრეზიდენტი**

საპატიო პრეზიდენტად საერთო კრების მიერ უვადოდ აირჩევა პირი აკადემიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, რომელიც აღჭურვილია პრეზიდენტად მუშაობის გამოცდილებით. იგი კვლავაც რჩება აკადემიის პრეზიდიუმის წევრად ხმის უფლებით და მონაწილეობს მის ყველა საქმიანობაში საკონსულტაციო ფუნქციით.

## **მუხლი 13. აკადემიის თანაპრეზიდენტი**

აკადემიის თანაპრეზიდენტი წარმართავს სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობას, ამზადებს საკითხებს საერთო კრებებზე და პრეზიდიუმის სხდომებზე განსახილველად, ორგანიზებას უკეთებს მიღებული გადაწყვეტილებების და მეცნიერული რეკომენდაციების დანერგვა-შესრულებას. ახორციელებს კონტროლს მიმართულებებისა და ჯგუფების საქმიანობაზე. პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში ცვლის მას.

## **მუხლი 14. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი არის ერთ-ერთი მიმართულების ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას, გეგმავს მისი შესრულების გზებს, მონაწილეობს აკადემიის საერთო ხელმძღვანელობაში მუდმივ და ერთდროულ დავალებათა შესრულებისას.

## **მუხლი 15. აკადემიკოს-მდივანი**

აკადემიკოს-მდივანი ხელმძღვანელობს აკადემიის საქმის წარმოებას, უზრუნველყოფს აკადემიის საერთო კრების, პრეზიდიუმის სხდომების მომზადებას, აკადემიის წევრთა პირადი საქმეების, წლიური ანგარიშების და სხვა დოკუმენტაციის მიღებას, აღრიცხვას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - სათანადო რეაგირებისათვის გადაცემას; აწესებს კონტროლს საწევრო გადასახადების შემოტანაზე, ხელს აწერს აკადემიიდან გასულ დოკუმენტებს, გასცემს ცნობებს თავისი ხელმოწერით.



## **მუხლი 16. აკადემიის სახსრები და სამეურნეო საქმიანობა, საფინანსო კონტროლის განხორციელება**

**16.1.** აკადემია სამეურნეო საქმიანობაში მოქმედებს თვითდაფინანსების, თვითანაზღაურების და სრული სამეურნეო დამოუკიდებლობის პრინციპით;

**16.2.** აკადემიის სახსრები შედგება აკადემიის ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების ყოველწლიური საწევრო გადასახადებისაგან, საგამომცემლო, სალექციო, სახელშეკრულებო და სხვა ისეთი სამეურნეო საქმიანობის შემოსავლებისაგან, როგორც არის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიზნობრივი შემონატანები, მათ შორის უცხოელ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, ყველა სხვა სახის შემოსავლები, რომლებიც არ იკრძალება კანონით;

**16.3.** აკადემიას უფლება აქვს განახორციელოს კანონით ნებადართული საწარმოო - სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, შექმნას საწარმოები, რომელთა საქმიანობიდან მიღებული მოგება მოხმარდება საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

**16.4.** აკადემიას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობანი, საწარმოო მეურნეობა, გამომცემლობა, შეიძინოს აქციები და დამოუკიდებლად განაგებდეს თავის საკუთრებას;

**16.5.** აკადემიას, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადებით შეუძლია თავისი საქმიანობა განახორციელოს დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან;

**16.6.** აკადემიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას სისტემატურად აკონტროლებს საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია, რომელიც შემოწმების შედეგებს პერიოდულად მოახსენებს აკადემიის პრეზიდიუმს, ხოლო წელიწადში ერთხელ - აკადემიის საერთო კრებას;

**16.7.** აკადემია, კანონით დადგენილი წესით, უფლებამოსილია ფლობდეს ძირითად ფონდებსა და საბრუნავ საშუალებებს;

**16.8.** აკადემია სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს შემოქმედებითი და სამეურნეო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით.

## **მუხლი 17. აკადემიის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის წესი**

**17.1.** აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას პრეზიდიუმის წარდგინებით იღებს აკადემიის საერთო კრება;

**17.2.** ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება აისახოს შესაბამისი თანხით, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება განაწილდეს კანონით დადგენილი წესით;

**17.3.** საერთო კრების გადაწყვეტილება აკადემიის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან;

**17.4.** ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს აკადემიის საერთო კრება. აკადემიის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

**17.4.1.** გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

**17.4.2.** ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

**17.4.3.** ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

**17.5.** აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება აკადემიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის;

**17.6.** თუ აკადემიის წევრთა საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო აკადემიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ ისეთივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ აკადემიას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ;

**17.7.** ლიკვიდაციას ახორციელებს აკადემიის პრეზიდენტი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.